

დანართი 1

დამტკიცებულია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

2020 წლის 25 ივნისის №54 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისმართლმადიდებლური
სადგთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს
სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთბილისის სასულიერო
აკადემიისა და სემინარიის

დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს

დებულება

თბილისი

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება ადგენს ა(ა)იპ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდგომში - თსას) უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე, დოქტორანტურაში, სწავლების წარმართვისა და თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს;

1.2. დოქტორანტურის მთავარი მიზანია საქართველოში საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება, ამ დარგში მაღალკვალიფიციური აკადემიური, სამეცნიერო ან/და პედაგოგიური კადრების მომზადება და თსას-ის სასწავლო-კვლევითი პოტენციალის გაფართოება. კვალიფიციურმა კადრებმა უნდა შეძლონ ეკლესიის უცდომელი სწავლების საფუძველზე, მეცნიერული მიღწევების წარმოჩენა, საეკლესიო სწავლებასთან სრულ თანხვედრაში, დაგროვილი სამეცნიერო გამოცდილების კრიტიკულად გააანალიზება და მიღებული შედეგების გავრცელება პუბლიკაციების მეშვეობით ან/და სასწავლო პროცესსა და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზით;

1.3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც, წინამდებარე დებულების თანახმად, სწავლობს დოქტორანტურაში;

1.4. დოქტორანტურაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე შესაბამისი წესით დამტკიცებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

1.5. თსას-ის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი;

1.6. დოქტორანტურის პროგრამის ხანგრძლივობა არის მინიმუმ სამი, ხოლო მაქსიმუმ ხუთი აკადემიური წელი. სწავლა უფასოა;

1.7. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას თსას-ის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;

1.8. თსას-ი უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევისათვის საჭირო მატერიალურ პირობებს (კომპიუტერი, ინტერნეტკავშირი, ბიბლიოთეკა და ა.შ.) და სათანადო სამეცნიერო გარემოს (მაღალკვალიფიციურ მკვლევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობას).

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამების შემუშავება და ხელმძღვანელი

2.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხელმძღვანელი;

2.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას თავდაპირველად განიხილავს შესაბამისი კათედრა/კათედრები. განხილული პროგრამა თანდართული ოქმით დასკვნისათვის გადაეცემა თსას-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება თსას-ის სამეცნიერო საბჭოს;

2.3. სადოქტორო პროგრამებს წარმართავენ:

ა) თსას-ის პროფესორები,

ბ) საჭიროების შემთხვევაში - მართლმადიდებლური თეოლოგიის ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტები,

გ) სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა სპეციალისტები.

2.4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს მართლმადიდებლური თეოლოგიის ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შესაბამის ან მომიჯნავე დარგში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ ხუთი ნაშრომი რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა საერთაშორისო გამოცემებში.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

3.1. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს, კვლევითი კომპონენტი - სადისერტაციო თემის შესრულებასა და კვლევით კოლოკვიუმებს;

3.2. სასწავლო კომპონენტი არ აღემატება სამოც კრედიტს და მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ეხმარება დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

3.3. სასწავლო კომპონენტის ნაწილებია:

ა) სწავლების მეთოდები,

ბ) აკადემიური წერა,

გ) კვლევის მეთოდები,

დ) პროფესორის ასისტენტობა - დოქტორანტი ვალდებულია, ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც განსაზღვრავს დოქტორანტურის ფაკულტეტი,

ე) დოქტორანტის სემინარი - დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტის სემინარის ინსტრუქციის შესაბამისად, თეორიული ხასიათის მოხსენებით ერთხელ მაინც წარდგეს შესაბამისი კათედრის/კათედრების მიერ დამტკიცებული დარგობრივი კომისიის წინაშე. დოქტორანტის სემინარის ინსტრუქციას განსაზღვრავს დოქტორანტურის ფაკულტეტი,

ვ) სხვა სასწავლო აქტივობა (მაგალითად, პრაქტიკა და სხვა სპეციალური კურსები, რომლებიც მოიცავს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სპეციალურ ან მომიჯნავე საგნებს),

ზ) სხვა არჩევითი სალექციო კურსები/აქტივობები,

თ) სასწავლო კომპონენტში შემავალი თითოეული საგანი მთავრდება გამოცდით.

3.4. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან თსას-ის ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა: სწავლების მეთოდები, პროფესორის ასისტენტობა, დოქტორანტის სემინარი. აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები სავალდებულო სალექციო კურსებია მათთვის, ვისაც დოქტორანტურისათვის აუცილებელი მოცულობისა და შინაარსის კურსი - აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები - უმაღლესი განათლების წინა საფეხურზე (მაგისტრატურა) არ დაუძლევიან;

3.5. სასწავლო კომპონენტის შინაარსობრივი სტრუქტურა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით. სასწავლო კომპონენტები შეირჩევა პროგრამის ფარგლებში მოსამზადებელი დისერტაციის სპეციფიკიდან გამომდინარე;

3.6. სასწავლო კომპონენტის სემინარი გულისხმობს მოხსენებას შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო მიმართულების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი;

3.7. სავალდებულო კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

ა) დისერტაციას – სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას,

ბ) მინიმუმ ორ კოლოკვიუმს, რომელიც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს.

3.8. დოქტორანტურის ფაკულტეტი განსაზღვრავს კოლოკვიუმის სქემის ინსტრუქციას, რომელიც მოიცავს:

- ა) საკვლევო პრობლემის დასმას, აგრეთვე მის ასახვას სამეცნიერო ლიტერატურაში,
- ბ) კვლევით პროექტს, მომავალი სადისერტაციო შრომის ზოგადი სტრუქტურისა და მეთოდოლოგიის ჩათვლით,
- გ) კვლევის შედეგებსა და ანალიზს.

3.9. დოქტორანტი ვალდებულია პრეზენტაციით წარდგეს დარგობრივი კომისიის წინაშე წელიწადში ერთხელ მაინც. პრეზენტაციები ფასდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კათედრაზე შექმნილი დარგობრივი კომისიის მიერ;

3.10. დოქტორანტი ვალდებულია, სადოქტორო ნაშრომის შედეგები გამოაქვეყნოს მინიმუმ სამი პუბლიკაციის სახით სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის სამეცნიერო გამოცემებში, რომელში გამოქვეყნებული სტატიებიც ჩაითვლება აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ სამეცნიერო ნაშრომებად;

3.11. დოქტორანტი ვალდებულია თსას-ის ხელშეწყობით მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ ერთ სამეცნიერო სემინარსა ან/და კონფერენციაში, რომელზეც წარადგენს სადისერტაციო ნაშრომის შედეგებს.

მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

4.1. დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის საფუძველზე დოქტორანტურაში მიღება ცხადდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;

4.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს მინიმუმ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შემდეგი პირობებით:

4.2.1. ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრს თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის დარგში;

4.2.2. ნებისმიერი დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) დაძლია თეოლოგიის, რელიგიის ისტორიის, რელიგიის კვლევების ან რელიგიათმცოდნეობის სფეროში და მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია;

4.2.3. ფლობს ერთ-ერთ დასავლეთევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს) არანალებ B2-ის დონეზე, ან ფლობს რუსულ ან/და ახალ ბერძნულ ენას არანაკლებ B2-ისა და ერთ-ერთ დასავლეთევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს ან ფრანგულს) მინიმუმ A2-ის დონეზე. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული მოწმობა, რომელსაც გასცემს შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება, თან უნდა ერთვოდეს დოქტორანტობის კანდიდატის

განცხადებას. სხვა შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატის უცხო ენის ცოდნა დასტურდება თსას-ის მიერ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის დადებითი შედეგებით.

4.3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქესაც, რომელიც აღმსარებლობით არის მართლმადიდებელი. იგი უნდა ფლობდეს მაგისტრის ხარისხს, აკმაყოფილებდეს 4.2 პუნქტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და ჰქონდეს ქართული ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სხვა შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატის ქართული ენის ცოდნა დასტურდება თსას-ის მიერ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის ორგანიზებული გამოცდის დადებითი შედეგებით;

4.4. წინამდებარე დებულების 4.2 და 4.3 პუნქტებით გათვალისწინებულ სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობისაგან გამონაკლისს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მიმართ ერთჯერადად ადგენს სამეცნიერო საბჭო, თუ პირის მიერ მიღებული განათლება და სამუშაო/პედაგოგიური/სამეცნიერო გამოცდილება ქმნის დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობას;

4.5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველის განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა ერთვოდეს:

- ა) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV),
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი,
- გ) შესაბამის დარგში აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი,
- დ) საკვლევი თემის დასახელება და დასაბუთება (შემდგომში სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მომზადებული დასკვნა საკვლევი თემის აქტუალობის შესახებ წარედგინება სამეცნიერო საბჭოს),
- ე) არსებობის შემთხვევაში - კვლევის მიმართულებიდან გამომდინარე - ნაშრომები (მატერიალური სახით),
- ვ) სულიერი მოძღვრის რეკომენდაცია,
- ზ) ორი ფოტოსურათი 3\4 ზომით, დისკთან ერთად,
- თ) არსებობის შემთხვევაში - უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული მოწმობა, რომელსაც გასცემს შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულება.

4.5.1 შემოსული განცხადება რეგისტრირდება თსას-ის კანცელარიაში და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის კათედრას;

4.6. თსას-ის სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს, საბუთების დაზუსტების მიზნით მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი მოთხოვნებიც;

4.7. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტობის კანდიდატი განიხილავენ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საკვლევი თემის დასახელებასა და დასაბუთებას. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი აზიარებს საკვლევი თემის აქტუალურობის შესახებ დასკვნას, რომელიც დოქტორანტობის მსურველის განცხადებასთან ერთად წარედგინება სამეცნიერო საბჭოს;

4.8. დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ საბუთებზე დაყრდნობით, თსას-ის სამეცნიერო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სტატუსის მოპოვებისათვის თსას-ის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე კანდიდატის დაშვების შესახებ;

4.9. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების მიზნით დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია დაძლიოს თსას-ის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები. საგამოცდო საკითხებს (პროგრამას), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებენ შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კათედრები;

4.10. დოქტორანტების ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თსას-ის სამეცნიერო საბჭო;

4.11. თსას-ის სამეცნიერო საბჭოს მიერ დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თსას-ის რექტორი გამოსცემს ბრძანებას;

4.12. თსას-ის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული პირი არის თსას-ის დოქტორანტი, რომელსაც ენიშნება შესაბამისი ცენზისა და კვლევის გამოცდილების მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი;

4.13. თსას-ს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის იდება სამმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა ვალდებულებები და უფლებები.

მუხლი 5. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

5.1. დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც შედგება დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმისაგან, ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად. ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება შესაბამისი კათედრის სხდომაზე, რომელიც ფორმდება ოქმით, კათედრის გამგისა და მდივნის ხელმოწერით. დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას ხელს აწერენ

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და თანახელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტი;

5.2. ინდივიდუალური გეგმა, რომლის ძირითადი პუნქტებია: კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა და სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების სავარაუდო გრაფიკი, განიხილება შესაბამის კათედრაზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან ერთი თვის განმავლობაში;

5.3. ინდივიდუალურ გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის სახელწოდება, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი, დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და სადისერტაციო თემის სახელწოდება;

5.4. სადოქტორო ნაშრომის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტურანტურაში სწავლის მეოთხე სემესტრის დასრულებამდე. იმავე ვადაში შესაძლებელია სადოქტორო თემის ცვლილებაც;

5.5. სადოქტორო ნაშრომის თემის ცვლილებისათვის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭო განიხილავს სადოქტორო ნაშრომის თემის შეცვლის საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას ასახავს სხდომის ოქმში;

5.6. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა მოიცავს დამტკიცებული სადოქტორო პროგრამითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო და დამატებით ღონისძიებას, რომლებიც დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სადოქტორო ნაშრომის დაცვისათვის;

5.7. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

6.1. თსას-ის სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის შესაბამისად უნიშნავს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელს და ამტკიცებს დოქტორანტის სადისერტაციო თემას. დოქტორანტს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში;

6.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) ან დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე თსას-ის პროფესორი ან მოწვეული პირი. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს მოქმედი მკვლევარი (მეცნიერი) და უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში, რაც

დასტურდება რეგენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შესრულებული შესაბამისი პუბლიკაციებით;

6.3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი;

6.4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ზედამხედველობას უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას;

6.5. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი რაიმე მიზეზით უარს იტყვის თავის მოვალეობაზე, მან დასაბუთებული განაცხადი უნდა წარუდგინოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, დოქტორანტურის ხელმძღვანელსა და თსას-ის სადისერტაციო საბჭოს;

6.6. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, დოქტორანტურის ხელმძღვანელის წარდგინებითა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება გაუგრძელდეს სწავლის ვადა;

6.7. თსას-ის ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს ოთხი დოქტორანტის ხელმძღვანელი, ხოლო მოწვეული სპეციალისტი - არაუმეტეს სამი დოქტორანტისა;

6.8. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება დაენიშნოს ორი ან მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი ან/და თანახელმძღვანელი იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო თემის შინაარსი, მისი ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, ამას საჭიროებს. თანახელმძღვანელზე ვრცელდება წინამდებარე მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

7.1. დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის საკითხი შეიძლება დადგეს:

ა) თსას-ის დადგენილი წესის მიხედვით, აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის - პლაგიატის ან/და მონაცემების გაყალბების დადასტურებისას,

ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის ან/და თსას-ის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელების გამო,

გ) პირადი განცხადების საფუძველზე,

დ) თსას-ს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამო.

7.2. დოქტორანტიის სტატუსის შეწყვეტის ბრძანებას გამოსცემს თსას-ის რექტორი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო საბჭოს მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭო

8.1. სადისერტაციო საბჭო არის თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო;

8.2. სადისერტაციო საბჭო იქმნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით ხუთი წლის ვადით დისერტაციის საჯარო განხილვისათვის და თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად;

8.3. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე თსას-ის პროფესორები. სადისერტაციო საბჭოს წევრებად, საჭიროების შემთხვევაში, თსას-ის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით, შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი განათლების ცენზის მქონე ის პირები, რომელთაც აქვთ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ან/და მომიჯნავე სფეროში მოღვაწეობის გამოცდილება და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და ბაზებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები;

8.4. თსას-ის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ხოლო სადისერტაციო საბჭოს თანათავმჯდომარე - თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი. სწავლული მდივანი საბჭოს მოქმედების ვადით ინიშნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თანათავმჯდომარე, ხოლო თანათავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით სადისერტაციო საბჭოს სხვა რომელიმე წევრი;

8.5. თსას-ის სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემასა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს;

8.6. სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობას, სავარაუდო ფორმატსა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს; ადგენს დისერტაციის შეფასების, მათ შორის - წინასწარი განხილვის სტანდარტებსა და კრიტერიუმებს;

8.7. ადგენს საჯარო დაცვის პროცესის შესაბამის ეთიკურ ნორმებს;

8.8. სადისერტაციო საბჭო ნიშნავს საექსპერტო კომისიასა და შემფასებლებს (რეცენზენტებს) დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების გათვალისწინებით;

8.9. სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელი მიმართულებების (კათედრების) მიერ მომზადებულ იმ სამეცნიერო გამოცემების ნუსხას, რომელშიც გამოქვეყნებული სტატიებიც ჩაითვლება აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ სამეცნიერო ნაშრომებად;

8.10. ადგენს და ამტკიცებს იმ ადრესატთა ნუსხას, რომელთაც უნდა დაეგზავნოს სადისერტაციო მაცნე;

8.11. ამტკიცებს დისერტაციის დაცვის თარიღს;

8.12. ამტკიცებს სადისერტაციო კომისიას და მისი დასკვნის საფუძველზე ანიჭებს თეოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

8.13. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას აძლევს დამსწრეთა 2/3 მაინც. სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი;

8.14. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება წერილობით უნდა ეცნობოს დოქტორანტს.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომი

9.1. თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი უნდა იყოს წმინდა ეკლესიის უცვალებელ რჯულსა და მოძღვრებაზე, მართლმადიდებლურ დოგმატიკაზე დაფუძნებული, დოქტორანტის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული სიღრმისეული გამოკვლევა, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ღირებულება. დისერტაცია უნდა შეიცავდეს თეორიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების შესაბამისი დარგის განვითარებაში (თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი);

9.2. დისერტაცია უნდა დაიწეროს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - მაცნე (ავტორეფერატი) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ), რუსულ ან/და ახალ ბერძნულ ენებზე;

9.3. სადისერტაციო ნაშრომისა და სადისერტაციო მაცნეს მოცულობას, ფორმატს, გაფორმების წესსა და სხვა მონაცემებს განსაზღვრავს „დოქტორანტის ინსტრუქცია“, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა

10.1. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამის კათედრას წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ დასკვნას, რომელიც მზადდება დოქტორანტურის ფაკულტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ. დასკვნის შემდეგ კათედრის გამგე, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სადისერტაციო ნაშრომს გადასცემს საკვლევი პრობლემატიკის შესაბამისი დარგის პროფესორს (საკვლევი დარგის სპეციალისტის თსას-ში არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სპეციალისტის მოწვევა). დოქტორანტურის ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული და სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, ნაშრომი წინასწარ განიხილება კათედრაზე მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში;

10.2. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ განხილვას შესაბამისი კათედრის სხდომაზე წარმართავს კათედრის გამგე ან პროგრამის ხელმძღვანელი (სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა ინიშნება უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც). განხილვის შედეგად კათედრის სხდომა იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის ან ნაშრომისათვის შემდგომი მსვლელობის განსაზღვრის თაობაზე. ამ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს შენიშვნების გასათვალისწინებლად. განმეორებითი განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ. წინასწარი განხილვის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კათედრის გამგე და მდივანი. ოქმის განუყოფელი ნაწილია საკვლევი პრობლემატიკის შესაბამისი დარგის პროფესორისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნები.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

11.1. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის შედეგად სადისერტაციო საბჭოში წარდგენის მიზანშეწონილობის დადგენის შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანსა და სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს:

- ა) სადისერტაციო ნაშრომს,
- ბ) დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველ დოკუმენტაციას,

გ) ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო პუბლიკაციების ნუსხის შესაბამისად გამოქვეყნებულ/ ან/და გამოსაქვეყნებლად წარდგენილ პუბლიკაციებს,
დ) სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით ქართულ, ერთ-ერთ ევროპულ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) და რუსულ ან/და ახალ ბერძნულ ენებზე შესრულებულ სადისერტაციო მაცნეს (ავტორეფერატს),

ე) კათედრის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის ოქმს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და წინასწარი შეფასებისათვის გამოყოფილი სპეციალისტის დასკვნასთან ერთად,

ვ) დოქტორანტის განცხადებას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის (თანათავმჯდომარის) სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კათედრა, სადაც შესრულდა სადისერტაციო ნაშრომი, აგრეთვე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სადისერტაციო თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი,

ზ) იმ სამეცნიერო სემინარებისა და კონფერენციების ნუსხას, რომელზეც წერილობით წარმოდგენილი იყო სადისერტაციო ნაშრომის შედეგები.

11.2. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისობას დამტკიცებული სადოქტორო პროგრამისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებთან ადგენს თსას-ის ხარისხის მართვის სამსახური;

11.3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის ამავე მუხლის 11.1. პუნქტით გათვალისწინებული მასალების სისწორეს ამოწმებს და ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნასთან ერთად იბარებს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი;

11.4. სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ოთხ ეგზემპლარად ელექტრონული ვერსიითურთ.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზა

12.1. თსას-ის რექტორი დოქტორანტის განცხადებას შესაბამისი რეზოლუციით გადასცემს სადისერტაციო საბჭოს. მას შემდეგ, რაც სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე და სწავლული მდივანი შეისწავლიან წარმოდგენილ მასალებს და გადაწყვეტენ, რომ ეს მასალა აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის დანიშვნის თაობაზე (არაუგვიანეს შვიდი დღისა). ნაშრომის წარდგენიდან დაცვამდე განსაზღვრული დრო (ექვსი თვე) აითვლება სადისერტაციო საბჭოს დანიშვნის დღიდან;

12.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს საექსპერტო კომისიას არანაკლებ ორი წევრის შემადგენლობით: ერთი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, მეორე კი - თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) ან დოქტორანტის

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თსას-ის პროფესორი (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია იმავე კვალიფიკაციის მქონე პირის მოწვევა). საექსპერტო კომისიას ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო;

12.3. სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი, სადოქტორო ნაშრომის ექსპერტის დასკვნისა და შეფასების უწყისის მიხედვით შესრულებული საექსპერტო კომისიის შეფასება უნდა იყოს წარმოდგენილი კომისიის წევრების მიერ შესაბამისი მასალების მიღებიდან ოცდაათი კალენდარული დღის ვადაში. დათქმული ვადის არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს კომისიის სხვა შემადგენლობას (დათქმული ვადის ათვლა დაიწყება ხელახლა);

12.4. საექსპერტო კომისიის წევრები დასკვნას წარმოადგენენ ცალ-ცალკე. თუ ერთი ექსპერტის დასკვნა დადებითია, მეორისა კი - უარყოფითი, მესამე ექსპერტის გამოყოფის საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს ექვსი თვის ვადაში წარადგინოს დისერტაციის შესწორებული ვარიანტი;

12.5. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გამოყოფს ორ შემფასებელს (რეცენზენტს) და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 13. შემფასებლები (რეცენზენტები)

13.1. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) დოქტორის ან/და დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და აღნიშნული მიმართულებით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს, სულ მცირე, სამი ნაშრომი რეცენზირებად სამეცნიერო ბაზებში ან ჟურნალებში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი ან დოქტორანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;

13.2. რეცენზენტები ეცნობიან სადისერტაციო ნაშრომს, მის ამსახველ გამოქვეყნებულ მასალებს და სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების უწყისის შესაბამისად მომზადებულ რეცენზიებს წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს. რეცენზიებში შეფასებული იქნება თემის აქტუალურობა, კვლევის მეცნიერული დონე, მიღებული შედეგების საფუძვლიანობა და რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან დოქტორანტისათვის შესასწორებლად უკან დაბრუნების, ან/და დაცვაზე უარის თქმის შესახებ. რეცენზენტებმა სადისერტაციო ნაშრომის წერილობითი შეფასება სადისერტაციო საბჭოს უნდა

წარუდგინონ ნაშრომის მიღებიდან არაუმეტეს 30 დღისა. თუ რეცენზენტი საპატიო მიზეზით დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს რეცენზიას, სადისერტაციო საბჭოს აქვს ამ ვადის თხუთმეტი დღით გაგრძელების უფლება. ვადის ამოწურვის შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს ახალი შემფასებელი;

13.3. თუ დამტკიცებული ორი შემფასებლიდან ორივე უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ დაიშვება, ხოლო თუ ერთი დადებითად შეაფასებს, მეორე კი - უარყოფითად, მესამე შემფასებელს ნიშნავს სადისერტაციო საბჭო. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს არაუგვიანეს ერთი წლისა წარმოადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

13.4. თუ დისერტაცია არ იქნა დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე. ამ შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება დამატებით დაენიშნოს ახალი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. შესწორებული ნაშრომი განიხილება იმავე წესით. შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დისერტაცია დასაცავად აღარ მიიღება;

13.5. სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს რეცენზენტების დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად უნდა მიეცეს, სულ მცირე, ერთი თვის ვადა;

13.6. სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტმა უნდა დაიცვას დისერტაციის წარდგენიდან ექვსი თვის ვადაში, სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილი წესისა და რეგლამენტის მიხედვით.

მუხლი 14. სადისერტაციო კომისია

14.1. რეცენზენტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იძლევა უფლებას გამოიცეს სადისერტაციო მაცნე და დაეგზავნოს სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ადრესატებს;

14.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით საჯარო პაექრობის ორგანიზებისათვის ქმნის სადისერტაციო კომისიას არანაკლებ ხუთი წევრის შემადგენლობით;

14.3. სადისერტაციო კომისიის წევრებად უნდა არჩეულ იქნენ თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) ან/და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე სპეციალისტები. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ სხვა სასწავლო ან სამეცნიერო

დაწესებულებებიდან მოწვეული სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროს დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტები. კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ნახევრისა უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით. სადისერტაციო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და საექსპერტო კომისიის წევრები (აუცილებლობის შემთხვევაში სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემფასებელი);

14.4. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს წევრთაგან ღია კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე. ღია კენჭისყრითვე აირჩევა მდივანი. სადისერტაციო კომისიის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

14.5. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას აძლევს დამსწრეთა 2/3 მაინც.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა

15.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო პაექრობა დოქტორანტსა და შემფასებლებს, დოქტორანტსა და სადისერტაციო კომისიის წევრებს შორის. პაექრობის ენა ქართულია;

15.2. თუ ერთი რეცენზენტი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება დაცვას, მაგრამ წარმოდგენილია მისი დადებითი რეცენზია, დაცვა შესაძლებელია. უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში დაცვა გადაიდება;

15.3. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

15.4. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ დოქტორანტთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენა,
- ბ) დოქტორანტის მოხსენება (არაუმეტეს ოცი წუთისა),
- გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა,
- დ) რეცენზენტების მიერ რეცენზიების საჯარო წარმოდგენა,
- ე) სამეცნიერო დისკუსია,
- ვ) სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა დისერტაციის შესაფასებლად;
- ზ) სადისერტაციო კომისიის შეფასების საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით დოქტორის ხარისხის მინიჭება,
- თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება,

- ო) მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 16. შეფასების სისტემა

16.1. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით (შეფასება 100-ქულიანია):

- ა) A- ფრიადი (summa cum laude) - 91-100 ქულა,
- ბ) B- ძალიან კარგი (magna cum laude) - 81-90 ქულა,
- გ) C- კარგი (cum laude) - 71-80 ქულა,
- დ) D- საშუალო (bene) - 61-70 ქულა,
- ე) E- დამაკმაყოფილებელი (rite) - 51-60 ქულა,
- ვ) FX- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - 41-50 ქულა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება,
- ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

16.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დაენიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ ხუთ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

16.2. საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი,
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება,
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება,

- დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს,
 - ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს,
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო,
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
- „ა“-დან „ე“ ქვეპუნქტების ჩათვლით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;
- „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას; მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

- 17.1. თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი, რომელიც გაიცემა დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში;
- 17.2. თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა მას შემდეგ, რაც დისერტაცია გამოქვეყნდება ბეჭდური ან ელექტრონული სახით თსას-ის ვებგვერდზე;
- 17.3. დიპლომში აღინიშნება დოქტორანტის სახელი, გვარი, სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, სადისერტაციო ნაშრომის სათაური, მინიჭებული ხარისხი. დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი. დიპლომი დასტურდება დაწესებულების ბეჭდით;
- 17.4. დიპლომი გაიცემა დანართთან ერთად, რომელიც ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიპლომისა და დანართის ასლი ინახება თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის არქივში;
- 17.5. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ფორმას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით ამტკიცებს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობა

18.1.აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჩამოერთვას (ბათილად იქნეს ცნობილი) დოქტორის აკადემიური ხარისხი.